შპს სულხან-საბა ორბელიანის
უნივერსიტეტი

თბილისი 01 ივლისი 2026 წ.

ბრძანება №85-26

საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ

უნივერსიტეტის დებულების მე-8 მუხლის, მე-5 პუნქტის 5.2 ქვეპუნქტით რექტორისათვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში (დებულება განახლებული რედაქციით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს 2023 წლის 20 ოქტომბრის №05-23 საოქმო გადაწყვეტილებით), უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის კვალიფიციური კადრებით წარმართვის უზრუნველსაყოფად რექტორის 2026 წლის 29 მაისის „აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“ №75-26 ბრძანების შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული ღია კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად, შეიქმნას დროებითი საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

    1. დიმიტრი გეგენავა - კომისიის თავმჯდომარე
    2. თამთა თავართქილაძე - კომისიის წევრი
    3. მზია ჯამაგიძე - კომისიის წევრი
    4. თამარ ქობულაძე - კომისიის წევრი
    5. გიორგი გორაძე - კომისიის წევრი
    6. ლალი ვაჩიბერაძე - კომისიის წევრი

2. კომისიამ აკადემიური პერსონალის შერჩევისას და ქულებით შეფასებისას იხელმძღვანელოს ამ ბრძანების დანართებით (№1, №2), კონკურსის გამოცხადების შესახებ ბრძანებითა და უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების დებულებით განსაზღვრული კრიტერიუმებით.
3. საკონკურსო კომისიამ მუშაობა განახორციელოს 2026 წლის 2 ივლისს.
4. კომისიის უფლებამოსილების ვადა განისაზღვროს კონკურსის ჩატარების ვადით.
5. დაევალოს უნივერსიტეტის საქმისწარმოების მენეჯერს ამ ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის გაცნობა და ბრძანების უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფაზე განთავსება.
6. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის მენეჯერს ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.sabauni.edu.ge) განთავსება.
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი **აკაკი ჭელიძე**

შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი | 204426834
0186, კ. ყუთათელაძის ქ.N3, თბილისი, საქართველო
ტელ: +995 32 2422242

info@sabauni.edu.ge
www.sabauni.edu.ge

Scanned with CamScanner